დანართი 2

25.6.2025 ხელმოწერილ თანამშრომლობის ხელშეკრულებაზე

Diagnose.me-ს გამოყენების წესები და პირობები

ვრცელდება მომხმარებლებზე, რომლებიც დაკავშირებულნი არიან სს სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგთან (საიდენთიფიკაციო კოდი 204426674/ერთად მოხსენიებული, როგორც **„პარტნიორები“**) ხელშეკრულებით.

წინამდებარე **წესები და პირობები** განსაზღვრავს ჩვენ მიერ შემოთავაზებულ სერვისებზე თქვენი (**“მომხმარებელი”**, ასევე **“თქვენ, თქვენი”**) წვდომის და გამოყენების პირობებს (**“სერვისები”**).

ნებისმიერი მითითება - **Diagnose.me/ჩვენ/ჩვენი** მიემართება Diagnose.me B.V.-ს, რომლის იურიდიული მისამართია - ნედერლანდები, დორპსდიიკ 63, რამპტ 4156 ამ (Dorpsdijk 63, Rumpt 4156 AM) (საიდენთიფიკაციო ნომერი 58001719). Diagnose.me B.V მომსახურებას წევს Diagnose.me a.s-ის სახელით, რომლის იურიდიული მისამართია - კარადჟიკოვა 8 (Karadžičova 8), 821 08, ბრატისლავა (საიდენთიფიკაციო ნომერი 46 588 418) და რომელსაც გაფორმებული აქვს თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულება პარტნიორთან. Diagnose.me a.s. წარმოადგენს Diagnose.me-ის კომპანიების ჯგუფის წევრს.

სერვისების ნებისმიერი გამოყენების პირობებს განსაზღვრავს წინამდებარე წესები და პირობები. სერვისებზე წვდომით და გამოყენებით თქვენ გამოხატავთ თანხმობას წინამდებარე წესებსა და პირობებზე. თუ თქვენ არ ეთანხმებით წესებს და პირობებს, თქვენ არ გაქვთ სერვისებზე წვდომისა და მათი გამოყენების უფლება.

ჩვენ შეიძლება დროდადრო შევიტანოთ ცვლილებები წინამდებარე წესებსა და პირობებში. ამ დოკუმენტის მხოლოდ ბოლო ვერსია ითვლება იურიდიული ძალის მქონე სავალდებულო ვერსიად. სერვისებზე წვდომისა და მათი გამოყენების გაგრძელებით, თქვენ ადასტურებთ, რომ ეთანხმებით წესებს და პირობებს და მათ ნებისმიერ ცვლილებას.

გთხოვთ, ყურადღებით გაეცანით წესებს და პირობებს. მათი სწორი აღქმა მნიშვნელოვანია სერვისების სათანადო გამოყენებისთვის. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ გაქვთ რაიმე შეკითხვები წესების და პირობების გამოყენებასთან დაკავშირებით, მოგვწერეთ - info@diagnose.me.

1. **ჩვენი სერვისები**

    1. ჩვენი სერვისები არ უნდა იქნას გამოყენებული საგანგებო სიტუაციებში.
    2. იმ შემთხვევაში, თუ სერვისები გამოყენებული იქნება 18 წლამდე პირის სასარგებლოდ, სერვისების მიმღები ან სერვისებზე წვდომა ყოველთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს მშობლის (კანონიერი მეურვის) მიერ.
    3. ჩვენ არ გთავაზობთ ჯანმრთელობის დაზღვევას, ჩვენი სერვისები მხოლოდ საინფორმაციო მიზანს ემსახურება. გთხოვთ, გაითვალისწინეთ, რომ ჩვენ არ ვიძლევით რაიმე გარანტიას და არც რაიმე ფორმით ვიქნებით პასუხისმგებელნი თქვენთვის მოწოდებული ინფორმაციის შინაარსსა და ხარისხზე.
    4. თქვენთვის მოწოდებული ინფორმაცია, მათ შორის დასკვნები და რეკომენდაციები, არ ცვლის თქვენი მკურნალი ექიმის დასკვნებსა და რეკომენდაციებს, კლინიკურ გამოკვლევებს, წინა სამედიცინო დასკვნებს და ისტორიას.
    5. მომხმარებელი აღიარებს და ეთანხმება, რომ ნებისმიერი მოწოდებული ინფორმაცია, არ წარმოშობს ექიმსა და პაციენტს შორის ურთიერთობას რაიმე ფორმითა და მოცულობით და არ შეიძლება იქნას განმარტებული/მიჩნეული, როგორც დიაგნოზი, სამედიცინო რჩევა, მკურნალობა ან სამედიცინო მომსახურება. მომხმარებელი სრულად აცნობიერებს, რომ

რომ დიაგნოსტიკაზე, სამედიცინო მომსახურებასა და მკურნალობაზე პასუხისმგებელი ექიმი ყოველთვის და მხოლოდ მომხმარებლის მკურნალი ექიმი(ები)ა.

6. ჩვენი სერვისები მოიცავს:

   1. **სპეციალისტების პლატფორმას:** ონლაინ პლატფორმა, რომელიც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, მიიღონ ინფორმაცია სპეციალისტებისგან, ან მიიღონ კონსულტაციები მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის, ცხოვრების წესის, კვების და სხვა საკითხების შესახებ.

   2. **ვებგვერდებს და აპლიკაციებს**: ჩვენი ვებგვერდები და აპლიკაციები მომხმარებლის აღწერილობის შესაბამისად, გაწვდით ინფორმაციას თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობის, ცხოვრების სტილის, ნუტრიციის და სხვა საკითხების შესახებ.

2. სპეციალისტების პლატფორმა - მეორე სამედიცინო დასკვნა

1. სპეციალისტების პლატფორმის სერვისი ერთმანეთთან აკავშირებს ინდივიდუალურ მომხმარებლებს, რომლებსაც სურთ ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, ცხოვრების წესთან და სხვა საკითხებთან (**"კლიენტების შესახებ ინფორმაცია"**) დაკავშირებული ინფორმაციის შეფასება სპეციალისტების (**"პროვაიდერები"**) მიერ, რომლებიც გამოთქვამენ ამგვარი შეფასების გაკეთების სურვილს (**"ანგარიში"**).

2. ანგარიშები უნდა იყოს წერილობითი ფორმის (**"წერილობითი ანგარიში"**).

3. მომხმარებელს შეუძლია მოითხოვოს წერილობითი ანგარიშის თარგმნა (**"თარგმნილი წერილობითი ანგარიში"**), რომელიც მომზადებულია ჩვენ მიერ მოძიებული პირის მიერ, რომლის მომსახურებასაც ვუზრუნველყოფთ ჩვენ და ის არ არის პროვაიდერი (**"მთარგმნელი"**).

4. ჩვენ გთავაზობთ მხოლოდ დამხმარე მომსახურებას. ჩვენი სერვისები მოგეწოდებათ „როგორც არის" პრინციპით და შემოიფარგლება სხვადასხვა მომხმარებლების პროფილების შემცველი პლატფორმების ადმინისტრირებით, პროვაიდერების სიაზე წვდომის უზრუნველყოფით, მონაცემთა დროებითი შენახვისთვის, პროვაიდერთან კომუნიკაციისთვის და საკონტაქტო პირთან (მომხმარებელთა მხარდაჭერის სამსახური) ურთიერთობისთვის პლატფორმის შემოთავაზებით.

5. გთხოვთ, გაითვალისწინეთ, რომ პლატფორმაზე განთავსებული ინფორმაცია პროვაიდერების შესახებ არ წარმოადგენს რაიმე გარანტიას კონკრეტულ პროვაიდერთან დაკავშირებული ხარისხისა ან/და მისი მომსახურების ხარისხის შესახებ.

6. გთხოვთ, გაითვალისწინეთ, რომ პროვაიდერი თავად არის სრულად პასუხისმგებელი ანგარიშის შინაარსსა და ხარისხზე. ჩვენ არ ვამოწმებთ და არ ვიძლევით არანაირ გარანტიას ანგარიშის შინაარსსა და ხარისხთან ან პროვაიდერის ნებისმიერ ვალდებულებასთან დაკავშირებით. პროვაიდერები ანგარიშის მომზადებისთვის იღებენ საფასურს ჯამურად, რაც მოიცავს ყველა ხარჯს და გადასახადს (**"ანგარიშის საფასური"**). მომხმარებლები, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ წესებსა და პირობებში მითითებულ პირობებს, ანგარიშს იღებენ უფასოდ.

7. წერილობითი ანგარიშის მომზადებისთვის ცალკე უნდა გაფორმდეს ხელშეკრულება ანგარიშის შესახებ, რომლიც უნდა გააფორმოთ შესაბამის პროვაიდერთან (**"ანგარიშის ხელშეკრულება"**).

8. წერილობითი ანგარიშის თარგმნისთვის, უნდა გაფორმდეს ცალკე ხელშეკრულება თარგმნის შესახებ, რომელიც უნდა გააფორმოთ შესაბამის მთარგმნელთან (**"თარგმნის ხელშეკრულება"**). გთხოვთ, გაითვალისწინეთ, წერილობითი ანგარიშის შინაარსსა და ხარისხზე პასუხისმგებელია მთარგმნელი და არა Diagnose.me. ჩვენ არ ვამოწმებთ და არ ვიძლევით არანაირ გარანტიას წერილობითი ანგარიშის თარგმანის შინაარსსა და ხარისხზე ან მთარგმნელის სხვა ვალდებულებებზე. მთარგმნელები იღებენ საფასურს

ანგარიშის სათარგმნად, რომელიც მოიცავს ყველა საფასურს, ხარჯს და გადასახადს (**“თარგმანის საფასური”**). მომხმარებლები, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ წესებსა და პირობებში მითითებულ დებულებებს, ანგარიშს იღებენ უფასოდ.

9. ინდივიდუალური მომხმარებლებისთვის მოქმედი ნებისმიერი საკანონმდებლო რეგულაციების მიუხედავად, ანგარიშის ხელშეკრულება რეგულირდება იმ ქვეყნის კანონმდებლობით, სადაც ცხოვრობს მომხმარებლის მიერ არჩეული პროვაიდერი, ხოლო თარგმნის ხელშეკრულება რეგულირდება მთარგმნელის საცხოვრებელი ადგილის ქვეყნის კანონმდებლობით.

10. ერთსა და იმავე ჯანმრთელობის პრობლემაზე სხვადასხვა პროვაიდერის აზრი შეიძლება ერთმანეთისგან განსხვავდებოდეს. სერვისის მოთხოვნით, თქვენ ასევე ეთანხმებით და აღიარებთ, რომ სხვადასხვა პროვაიდერმა შეიძლება მოგცეთ სხვადასხვა, შეიძლება ერთმანეთის საწინააღმდეგო ინფორმაციაც კი, რაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენი სერვისი არის ხარვეზის მქონე ან არაკომპეტენტური.

11. პროვაიდერი, საკუთარი დისკრეციის ფარგლებში, შეაფასებს რამდენად საკმარისია მომხმარებლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მითითებული ინფორმაცია ანგარიშის მოსამზადებლად. იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია არ არის საკმარისი, პროვაიდერი დამატებით მოითხოვს მომხმარებლისგან ინფორმაციის წარმოდგენას შესაბამისი ფორმით და ვადაში.

12. წერილობითი ანგარიშის მომზადების ვადა აითვლება იმ მომენტიდან, როდესაც მომხმარებლის შესახებ ინფორმაცია შეივსება და მხარეები ხელს მოაწერენ ანგარიშის ხელშეკრულებას. ვებგვერდზე დღეებით განსაზღვრული ვადები გულისხმობს სამუშაო დღეებს და აითვლება მომდევნო დღიდან.

13. იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებლის შესახებ შეგროვებული ინფორმაცია, რომელიც მიაწოდეთ პროვაიდერს, არ არის საკმარისი წერილობითი ანგარიშის მოსამზადებლად, პროვაიდერი მოითხოვს სწორი და სრული ინფორმაციის მიწოდებას. მომხმარებლის შესახებ ინფორმაციის სისწორის და სისრულის შეფასება წარმოადგენს პროვაიდერის დისკრეციას. იმ შემთხვევაში, თუ პროვაიდერი მოითხოვს წარადგინოთ სწორი, შესაბამისი და სრული ინფორმაცია, ასევე მომხმარებლის შესახებ ინფორმაცია, თქვენ ვალდებული ხართ შეასრულოთ ეს მოთხოვნა 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, რომელიც აითვლება პროვაიდერის ამგვარი მოთხოვნიდან. თუ თქვენ ვერ მოახერხებთ ინფორმაციის წარდგენას, სერვისი ჩაითვლება სრულად გაწეულად.

14. იმ შემთხვევაში, თუ პროვაიდერი მოითხოვს სრული და სწორი ინფორმაციის წარმოდგენას, წერილობითი ანგარიშის მომზადების ვადა შეჩერდება. წერილობითი ანგარიშის მომზადების ვადის ათვლა დაიწყება იმ დღის მომდევნო დღიდან, როდესაც თქვენ პროვაიდერს მიაწვდით მის მიერ მოთხოვნილ ყველა ინფორმაციას.

15. წერილობითი ანგარიშის მომზადებისთვის დაუშვებელია კლიენტის შესახებ 1 (ერთი) წელზე ადრინდელი ინფორმაციის გამოყენება. ასეთი მონაცემები მიღებული იქნება, მხოლოდ მისი სხვა მონაცემებისთვის შედარების მიზნით.

16. შეკვეთა დასრულებულად ითვლება წერილობითი ანგარიშის მიწოდებიდან 14 (თოთხმეტი) დღის შემდეგ. შეკვეთის დასრულების შემდეგ, მასში რაიმე ცვლილების შეტანა, მათ შორის დამატებითი დოკუმენტაციის ან შეკითხვების ატვირთვა, შეუძლებელი იქნება.

17. გთხოვთ, გაითვალისწინეთ, რომ თქვენს შეკვეთას შეიძლება დაერთოს წარსულში სხვა პროვაიდერის მიერ მომზადებული წერილობითი ანგარიში.

18. მომხმარებლებსა და პროვაიდერებს შორის კომუნიკაცია, მიუხედავად მისი ფორმისა იქნება ეს წერილობითი ანგარიშის თუ სხვა ფორმით, დაკავშირებული უნდა იყოს მხოლოდ მომხმარებლის შესახებ ინფორმაციაში მითითებულ აღწერასთან. პროვაიდერები მომხმარებლებს არ აწვდიან რაიმე სახის მკურნალობას ან ჯანდაცვის სხვა

მომსახურებას. მომხმარებელმა პროვაიდერისგან სასურველი მკურნალობის მეთოდთან დაკავშირებული ნებისმიერი წინადადების ან კომენტარის შემთხვევაში, უნდა მიმართოს საკუთარ მკურნალ ექიმს.

19. პროვაიდერების მომსახურება შეიძლება განსხვავდებოდეს მომხმარებლის მკურნალი ექიმის დიაგნოსტიკური მომსახურებისგან. პროვაიდერები არ ისარგებლებენ, იმ ინფორმაციით, რომლის მიღებაც მხოლოდ მომხმარებლის პირადი დათვალიერებით და მისი ფიზიკური მდგომარეობის დაკვირვებით არის შესაძლებელი. პროვაიდერმა შეიძლება არ იცოდეს ფაქტები ან არ ჰქონდეს ისეთი ინფორმაცია, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მის მოსაზრებაზე დიაგნოზთან დაკავშირებით. მომხმარებლისთვის ამ შეზღუდვის გამო არსებული რისკების შესამცირებლად, რეკომენდირებულია მიღებული წერილობითი ანგარიშის განხილვა მომხმარებლის მკურნალ ექიმთან. პროვაიდერის სერვისის მოთხოვნით, მომხმარებელი აღიარებს, რომ მისთვის ცნობილია ზემოთ მოცემული შეზღუდვის არსებობის შესახებ და მომხმარებლისთვის მისაღებია ამგვარ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული რისკები. მომხმარებელი ასევე ადასტურებს, რომ (i) წერილობით ანგარიშში მითითებული ნებისმიერი დიაგნოზი შეზღუდული და წინასწარია, (ii) არცერთი წერილობითი ანგარიშის მიზანი არ არის სამედიცინო გამოკვლევის ან ექიმთან პირადი ვიზიტის ჩანაცვლება, (iii) პროვაიდერებს არ აქვთ მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომლის შეგროვებაც შეიძლება, როგორც წესი, ფიზიკური გამოკვლევით, და (iv) სამედიცინო გამოკვლევის არარსებობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს პროვაიდერის შესაძლებლობზე სწორად დასვას მომხმარებლის მდგომარეობის, ავადმყოფობის ან დაზიანების დიაგნოზი.

20. დამატებით, მომხმარებელი აცნობიერებს, რომ სამედიცინო კვლევების სურათების ატვირთვა საინფორმაციო სისტემაში შესაძლებელია, მხოლოდ მოთხოვნილი ფორმატით, კერძოდ, DICOM (Digital Imaging and Communication in Medicine). წერილობითი ანგარიშის მოსამზადებლად, პროვაიდერებს სჭირდებათ სურათების სრული თანმიმდევრობა, შესაბამისი ხარისხით და ანატომიის სწორი ნაწილის აღბეჭდვით. თუ თქვენ არ ატვირთავთ სურათებს, რომელიც შესაბამისი იქნება სამედიცინო შეფასებისთვის, პროვაიდერი ვერ შეძლებს წერილობითი ანგარიშის მომზადებას და ის მოითხოვს შესაბამისი სურათების თავიდან ატვირთვას.

3. ვებგვერდები და აპლიკაციები

1. ჩვენს ვებგვერდებსა და აპლიკაციებში განთავსებული ინფორმაცია ეყრდნობა ზოგად სამედიცინო ინფორმაციას და არ წარმოადგენს კონკრეტულ, პერსონალიზირებულ სამედიცინო რჩევებს. ჩვენ მიერ მოწოდებული ინფორმაცია, ყოველთვის უნდა იქნეს დამატებით განხილული თქვენს მკურნალ ექიმთან.

2. ვებგვერდები და აპლიკაციები განკუთვნილია მხოლოდ მომხმარებლების მიერ გამოსაყენებლად. მომხმარებლებს არ აქვთ უფლება გამოიყენონ ეს ინფორმაცია სხვებისთვის, თუ ეს პირდაპირ არ არის გათვალისწინებული სადაზღვევო პოლისით.

4. სერვისის გამოყენების შეზღუდვები

1. აშშ-სა და კანადის მოქალაქეებსა და რეზიდენტებს არ აქვთ სერვისების მიღების უფლება. გარდა იმ შემთხვევისა, თუ აშშ-სა და კანადის მოქალაქე ან რეზიდენტი ვებგვერდებს სტუმრობს საქართველოში მდებარე IP მისამართებიდან და ვებგვერდზე მის საცხოვრებელ ქვეყნად არჩეული აქვს - საქართველო.

2. თქვენ არ უნდა მისცეთ უფლება სხვა პირებს გამოიყენონ სერვისი თქვენი სახელით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს პირდაპირ არის დაშვებული სადაზღვევო პოლისით.

3. თქვენ არ გაქვთ უფლება სერვისები გამოიყენოთ სასამართლო ან მარეგულირებელ სამათალწარმოებაში.

4. ნებისმიერ შემთხვევაში თქვენ არ გაქვთ უფლება:

ა) სერვისები გამოიყენოთ იმგვარად, რომ ეს მიჩნეული იყოს შეურაცხმყოფელად ან ხელი შეუშალოს სხვა პირის მიერ სერვისის გამოყენებას;

ბ) გამორთოთ, გვერდი აუაროთ ან ხელი შეუშალოთ ჩვენს უსაფრთხოების სისტემებს;

გ) სცადოთ ჩვენი სერვისების საშუალებით ხელმისაწვდომი ნებისმიერი კონტენტის კოპირების ან დუბლირების შეზღუდვების გამორთვა, გვერდის ავლა ან ხელის შეშლა;

დ) მოიპოვოთ წვდომა ნებისმიერ პერსონალურ მონაცემებზე, რომელსაც ჩვენ ვინახავთ მომხმარებლების სახელით;

ე) გამოიყენოთ მომსახურება წინამდებარე წესებსა და პირობებში განსაზღვრული მიზნებისგან განსხვავებული მიზნებით;

ვ) ატვირთოთ ვირუსების შემცველი ინფორმაცია ან სხვა საზიანო კომპიუტერული კოდები, რომლებიც ზღუდავენ სერვისების ფუნქციონირებას.

0. მიუღებელია ნებისმიერი ძალადობრივი ან შეურაცხმყოფელი ქცევა.

5. სერვისებზე წვდომა

1. ყველა სერვისი

   მომხმარებელს უფლება აქვს მიიღოს და ისარგებლოს ჩვენი სერვისებით, იმ პირობით, რომ მომხმარებელს პარტნიორთან აქვს მოქმედი, ხელმოწერილი და მიმდინარე სახელშეკრულებო ურთიერთობა, რომლითაც უფლებამოსილია მიიღოს ჩვენი სერვისები.

2. სპეციალისტების პლატფორმა - მეორე სამეციდინო დასკვნის სერვისი

   1. სერვისის ფარგლებში, მომხმარებლებს უფლება აქვთ მოითხოვონ არაუმეტეს 3 (სამი) წერილობითი ანგარიში 12 თვის განმავლობაში, ჯანმრთელობის სხვადასხვა საკითხთან/კითხვასთან დაკავშირებით (იგულისხმება, რომ არცერთი მოთხოვნა არ უნდა უკავშირდებოდეს ჯანმრთელობის სხვა საკითხს/კითხვას, რომელთან დაკავშირებითაც წერილობითი ანგარიში დამზადებული იყო უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში).

   2. წერილობითი ანგარიში დაკავშირებულია მომხმარებლის/კლიენტის (ბავშვების შემთხვევაში) ჯანმრთელობის მდგომარეობასთან.

   3. მომხმარებელს უფლება აქვს მიიღოს წერილობითი ანგარიში ინგლისურ ენაზე და/ან წერილობითი ანგარიშის თარგმანი ქართულ ენაზე.

   4. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხი/შეკითხვა, რომელსაც უნდა შეეხოს წერილობითი ანაგრიში, არ იყო ცნობილი მომხმარებელს/კლიენტს (ბავშვის შემთხვევაში) და პარტნიორს შორის სადაზღვევო ხელშეკრულების დადების თარიღამდე.

   5. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხი/შეკითხვა, რომელსაც უნდა შეეხოს წერილობითი ანგარიში, მიეკუთვნება წესების და პირობების დანართში ჩამოთვლილ დიაგნოზებს.

   6. მომხმარებლებს შეუძლიათ არჩიონ პროვაიდერები, სამედიცინო ექსპერტები ან დაწესებულება, რომლებიც აღიარებულნი არიან და ფლობენ ჯანდაცვის სერვისების გაწევის ლიცენზიას იმ ქვეყნებში, რომლებიც ჩამოთვლილია ხელშეკრულების მე-4 დანართში და თანამშრომლობს პროვაიდერთან სერვისების გაწევის პროცესში. კონკრეტული პროვაიდერის ხელმისაწვდომობა გარანტირებული არ არის.

   7. მომხმარებელს უფლება აქვს ატვირთოს მაგნიტო-რეზონანსული ტომოგრაფიის/კომპიუტერული ტომოგრაფიის (MRI/CT) სურათების 2 (ორი) სერია ან

რენტგენის 5 (ხუთი) სურათი და სამედიცინო ანგარიშის 5-მდე (ხუთი) A4 ფორმატის გვერდი (სამედიცინო ანგარიში, ლაბორატორიული ტესტების შედეგები). დამატებითი საფასურის სანაცვლოდ, შესაძლებელია პლატფორმაზე მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის/კომპიუტერული ტომოგრაფიის სურათების ან სამედიცინო დოკუმენტების მეტი სერიის ატვირთვა.

8. წერილობითი ანგარიშის მიწოდების ვადაა 9 (ცხრა) სამუშაო დღე, რომელშიც არ შედის თარგმნის დრო:

თუ თქვენ გჭირდებათ თარგმნილი წერილობითი ანგარიში, ანგარიშის მიწოდების ვადა გაგრძელდება 1 (ერთი) სამუშაო დღით.

თუ პროვაიდერთან კომუნიკაცია ხორციელდება ან თუ თქვენი დოკუმენტაციის ნაწილი ინგლისურის გარდა რომელიმე სხვა ენაზეა, წერილობითი ანგარიშის მიწოდების ვადა გადაიწევს 1 (ერთი) სამუშაო დღით თარგმნის საჭიროებების გამო. ეს დებულება არ ვრცელდება თავად წერილობითი ანგარიშის თარგმნაზე.

9. წერილობითი ანგარიშის მიღებიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში, მომხმარებელს შეუძლია პროვაიდერს დაუსვას 2 (ორი) დამატებითი შეკითხვა.

6. საფასური

1. ჩვენი მომსახურება უფასოდ მიეწოდება იმ მომხმარებლებს, რომლებიც აკმაყოფილებენ წინამდებარე წესების და პირობებში მითითებულ პირობებს.

2. პარტნიორთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ჩვენ ვიღებთ პაუსხისმგებლობას წერილობითი ანგარიშის და თარგმანის საფასურის ანაზღაურებაზე იმ მომხმარებლებისთვის, რომლებიც აკმაყოფილებენ წინამდებარე წესებსა და პირობებში მითითებულ პირობებს.

7. ინტელექტუალური საკუთრების უფლებები

3. სერვისებთან და ძირითად პროგრამულ უზრუნველყოფასთან, მათ შემუშავებასთან, ექსპლუატაციასთან ან განახლებებთან დაკავშირებული ყველა ინტელექტუალური საკუთრების უფლება ჩვენი, ლიცენზიების გამცემი პირების ან ლიცენზიის მფლობელების ექსკლუზიური საკუთრებაა. თქვენ ეთანხმებით, რომ არ გამოიყენებთ საავტორო უფლებებით დაცულ ინფორმაციას ან მასალებს რაიმე სხვა გზით, გარდა ვებგვერდის გამოყენებისა, წინამდებარე წესების და პირობების და მოქმედი კანონმდებლობის და რეგულაციების შესაბამისად.

4. დაუშვებელია ჩვენი სერვისების მეშვეობით მიღებული ნებისმიერი ინფორმაციის, შინაარსის, დიზაინის ან ალგორითმის კოპირება, დუბლირება ან რეპროდუქცია.

5. თქვენ ასევე ადასტურებთ, რომ არ ატვირთავთ ან გამოიყენებთ სერვისებს ნებისმიერი სახით, რაც მიზნად ისახავს ნებისმიერი მესამე პირის ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევას. თქვენ პასუხისმგებელი ხართ გადაამოწმოთ არღვევს თუ არა სერვისებთან დაკავშირებით გამოყენებული მასალები მესამე მხარის ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტა

6. ჩვენ, ჩვენი შეხედულებისამებრ, შეგვიძლია ნებისმიერ დროს შევწყვიტოთ თქვენი წვდომა სერვისებზე, თუ დაარღვევთ ან შეეცდებით დაარღვიოთ წინამდებარე წესების და პირობების ნებისმიერი პირობა.

7. ჩვენ გვაქვს მომხმარებლების სახელების დაბრუნების უფლება.

9. პასუხისმგებლობა

8. მომხმარებლებმა არ უნდა განაგრძონ მომსახურების მიღება წინამდებარე წესების და პირობების გაცნობის გარეშე და არ უნდა დაარღვიონ ან თავი აარიდონ ამას. Diagnose.me არ არის

პასუხისმგებელი სერვისების რაიმე სხვა ტიპის გამოყენებაზე, გარდა იმ პირობებისა, რაც გათვალისწინებული ან დაშვებულია წესებსა და პირობებში.

9. ჩვენ არ ვიძლევით გარანტიას, რომ ვებგვერდზე განთავსებული ნებისმიერი ინფორმაცია არის ყოველთვის სრული, სწორი ან განახლებული.

10. თქვენ აცნობიერებთ, რომ ჩვენ არ ვართ პასუხისმგებლები ჩვენს ვებგვერდზე ნებისმიერი მომხმარებლის, პროვაიდერის ან მესამე მხარის მიერ განთავსებული ინფორმაციის ან უკუკავშირის სისრულეზე ან სისწორეზე. ასეთი შეიძლება იყოს, რეიტინგები, განხილვები, რეკომენდაციები. ჩვენ უფლებას ვიტოვებთ წინასწარი შეტყობინების გარეშე წავშალოთ ნებისმიერი პოსტი ან ინფორმაცია, რომელიც არ არის ჩვენ მიერ ავტორიზებული.

11. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ჩვენი სერვისები ნებისმიერ დროს იყოს ხელმისაწვდომი. მომხმარებლები აცნობიერებენ, რომ ჩვენ არ ვიძლევით გარანტიას, რომ სერვისები ნებისმიერ დროს იქნება ხელმისაწვდომი და შეუფერხებელი.

12. იმ ფარგლებში, რამდენადაც ეს დასაშვებია სავალდებულო საკანონმდებლო მოთხოვნებით, ჩვენ გამოვრიცხავთ ჩვენს პასუხისმგებლობას ნებისმიერი ზიანისთვის, რომელიც შეიძლება დადგეს ან დაკავშირებული იყოს ჩვენი სერვისების ან სერვისებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოყენებით. თქვენ სერვისებს იყენებთ თქვენი საკუთარი რისკით. ჩვენ, ჩვენი დირექტორების, მმართველი თანამდებობის პირების, დასაქმებულების და/ან პარტნიორების ჩათვლით, არ ვიღებთ პასუხისმგებლობას ნებისმიერ ინფორმაციაზე, რომელიც შეიძლება ხელმისაწვდომი გახდეს ჩვენი სერვისების მეშვეობით, ასევე არ ვიღებთ პასუხისმგებლობას ინფორმაციაში არსებულ შეცდომებებზე ან სისრულეზე.

13. ჩვენი მომსახურება მოწოდებულია "როგორც არის" პრინციპით, ყოველგვარი გარანტიის გარეშე. წინამდებარე წესებსა და პირობებში მითითებული არც ერთი დებულება და არც ჩვენი სერვისების მეშვეობით მოწოდებული ინფორმაცია არ მოიცავს რაიმე ნაგულისხმევ გარანტიას.

14. მომხმარებელი ათავისუფლებს პროვაიდერს და იცავს მას პასუხისმგებლობისგან ნებისმიერი სახის ზიანის, პრეტენზიის, დაზიანების ან ზიანისთვის, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, კომპენსაციის, პირდაპირი, არაპირდაპირი ან თანმდევი ზიანისთვის, რაც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ანგარიშის ნებისმიერი ან ყველა გამოყენების შედეგად, მათ შორის ნებისმიერი მიმოხილვის, ინტერპრეტაციის, ან ანალიზის ან და/ან ანგარიშზე დაყრდნობის შედეგად.

15. ჩვენი სერვისები შეიძლება შეიცავდეს სხვა სერვისების ბმულებს. თქვენ ადასტურებთ, რომ ჩვენ არ გვაქვს არანაირი გავლენა და პასუხისმგებლობა ამგვარ დაკავშირებულ სერვისებზე. თუ თქვენ იყენებთ ან ეწვევით ამ სერვისებს, გირჩევთ, გაეცნოთ მათ წესებსა და პირობებს და კონფიდენციალურობის პოლიტიკას.

10. პერსონალური მონაცემები

16. ვებგვერდის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით ჩვენ მიერ შეგროვებული და დამუშავებული პერსონალური მონაცემები რეგულირდება ჩვენი კონფიდენციალურობის პოლიტიკით, რომელიც განთავსებულია ლინკზე - https://files.diagnose.me/partner-diagnoseme/terms_of_use_diagnoseme_diagnoseme_en.pdf. წინამდებარე წესების და პირობებზე დათანხმებით, თქვენ ასევე ეთანხმებით კონფიდენციალურობის პოლიტიკას.

17. თქვენი პერსონალური მონაცემების მოპოვებისა და დამუშავების პროცესში ჩვენ ვმოქმედებთ ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (EU General Data Protection Regulation 2016/679) (GAP) შესაბამისად. თქვენი პერსონალური მონაცემების მოპოვებისას GAP-ის მე-13 მუხლის შესაბამისად, მოწოდებული ინფორმაცია ხელმისაწვდომია ჩვენს კონფიდენციალურობის პოლიტიკაში.

18. Diagnose.me თქვენ მიერ მოწოდებულ ინფორმაციას ხელმისაწვდომს ხდის პროვაიდერისთვის ანგარიშის მომზადების მიზნით. ეს ინფორმაცია ასევე ხელმისაწვდომია

ჩვენ მიერ შერჩეული თანამშრომლებისთვის და სამედიცინო საკონსულტაციო საბჭოს წევრებისთვის, ანგარიშის მომზადებისა და მიწოდების მიზნებისთვის.

11. ზოგადი დებულებები

19. წინამდებარე წესები და პირობები რეგულირდება ნიდერლანდების კანონმდებლობით.

20. წინამდებარე წესებისა და პირობებიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა უნდა გადაწყდეს მხოლოდ ჰოლანდიის კომპეტენტური სასამართლოს მიერ.

21. მათი მნიშვნელობის მიუხედავად და თუ ამ წესებსა და პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ყველა ტერმინის განმარტებაში იგულისხმება როგორც მხოლობითი, ისევე მრავლობითი რიცხვი.

22. თქვენ მხოლოდ ჩვენთან სამართლებრივად სავალდებულო ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში გაქვთ ჩვენს სერვისებზე წვდომის და გამოყენების უფლება. თქვენ თავად ხართ პასუხისმგებელი ნებისმიერი მოქმედი შიდა კანონმდებლობის დაცვაზე.

23. წინამდებარე წესების და პირობების ნებისმიერი პირობის ბათილობის შემთხვევაში, ეს არ იმოქმედებს სხვა დებულებების ნამდვილობაზე.

24. ნებისმიერი პრეტენზია გამოგზავნეთ შემდეგ მეილზე info@diagnose.me . ჩვენ განვიხილავთ მათ 10 (ათი) ბიზნეს დღის განმავლობაში.

25. წესებში და პირობებში მითითებული ნებისმიერი პირობის ჩვენ მიერ აღუსრულებლობა არ შეიძლება განხილულ იქნას ამ შესაძლებლობაზე უარის თქმად.

26. წინამდებარე წესებსა და პირობებს და ანგარიშის ხელშეკრულებას შორის შეუსაბამობის, ასევე პროვაიდერის წესებსა და პირობებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება წინამდებარე წესებსა და პირობებს.

27. წინამდებარე წესებსა და პირობებს ასევე თარგმნილ ხელშეკრულებას ან მთარგმნელის წესებსა და პირობებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება წინამდებარე წესებსა და პირობებს.

28. თქვენ იძლევით გარანტიას, რომ გაქვთ ხელშეკრულების დადების იურიდიული ქმედუნარიანობა.

29. თქვენ ადასტურებთ, რომ თანახმა ხართ მიიღოთ ჩვენგან კომუნიკაცია ელექტრონული ფორმით.

12. საკონტაქტო ინფორმაცია

იმ შემთხვევაში, თუ დაგჭირდებათ დახმარება ზემოთ მითითებულ ნებისმიერ პირობაზე, გთხოვთ, დაგვიკავშირდით სამუშაო დღეებში. 9:00 – 19:00 საათებში (თბილისის დროით) ტელეფონის, ელფოსტის ან ჩატის მეშვეობით.

Diagnose.me B.V.
Dorpsdijk 63
4156AM Rumpt
The Netherlands

ტელეფონის ნომერი: +421 948 347 388

ელფოსტა: info@diagnose.me
ჰოლანდიის კომერციულ საქმეთა პალატა: 58001719
უკანასკნელი განახლების თარიღი: 01 აგვისტო 2023

Diagnose.me -ის წესების და პირობების დანართი: დიაგნოზების სია

ტუბერკულოზი - Tuberculosis

ვირუსული მენინგიტი - Viral meningitis

საყლაპავის ავთვისებიანი ნეოპლაზმა - Malignant neoplasm of oesophagus

კუჭის ავთვისებიანი ნეოპლაზმა - Malignant neoplasm of stomach

წვრილი ნაწლავის ავთვისებიანი ნეოპლაზმა - Malignant neoplasm of small intestine

მსხვილი ნაწლავის ავთვისებიანი ნეოპლაზმა - Malignant neoplasm of colon

სწორი ნაწლავის ავთვისებიანი ნეოპლაზმა - Malignant neoplasm of rectum

ღვიძლის და ღვიძლისშიდა ნაღვლის სადინრების ავთვისებიანი ნეოპლაზმა - Malignant neoplasm of liver and intrahepatic bile ducts

ნაღვლის ბუშტის ავთვისებიანი ნეოპლაზმა - Malignant neoplasm of gallbladder

პანკრეასის (კუჭქვეშა ჯირკვლის) ავთვისებიანი ნეოპლაზმა - Malignant neoplasm of pancreas

ხორხის ავთვისებიანი ნეოპლაზმა - Malignant neoplasm of larynx

ტრაქეის ავთვისებიანი ნეოპლაზმა - Malignant neoplasm of trachea

კიდურების ძვლებისა და სახსროვანი ხრტილის ავთვისებიანი ნეოპლაზმა - Malignant neoplasm of bone and articular cartilage of limbs

კანის ავთვისებიანი მელანომა - Malignant melanoma of skin

მესოთელიომა - Mesothelioma

კაპოსის სარკომა - Kaposi sarcoma

ძუძუს ავთვისებიანი ნეოპლაზმა - Malignant neoplasm of breast

საშვილოსნოს ყელის ავთვისებიანი ნეოპლაზმა - Malignant neoplasm of cervix uteri

საკვერცხის ავთვისებიანი ნეოპლაზმა - Malignant neoplasm of ovary

პროსტატის ავთვისებიანი ნეოპლაზმა - Malignant neoplasm of prostate

სათესლე ჯირკვლის ავთვისებიანი ნეოპლაზმა - Malignant neoplasm of testis

თირკმლის (გარდა თირკმელის მენჯისა) ავთვისებიანი ნეოპლაზმა - Malignant neoplasm of kidney, except renal pelvis

შარდის ბუშტის ავთვისებიანი ნეოპლაზმა - Malignant neoplasm of bladder

გარსების ავთვისებიანი ნეოპლაზმა - Malignant neoplasm of meninges

ტვინის ავთვისებიანი ნეოპლაზმა - Malignant neoplasm of brain

ზურგის ტვინის, თავის ტვინის ნერვებისა და ცენტრალური ნერვული სისტემის სხვა ნაწილების ავთვისებიანი ნეოპლაზმა - Malignant neoplasm of spinal cord, cranial nerves and other parts of central nervous system

ჰოჯკინის ლიმფომა - Hodgkin lymphoma

ფოლიკულური ლიმფომა - Follicular lymphoma

არა ფოლიკულური ლიმფომა - Non-follicular lymphoma

ლიმფოიდური ლეიკემია - Lymphoid leukaemia

მიელოიდური ლეიკემია - Myeloid leukaemia

მონოციტური ლეიკემია - Monocytic leukaemia

სისხლძარღვოვანი დემენცია - Vascular dementia

ალცჰაიმერის დაავადება - Alzheimer disease

სკლეროზი - Multiple sclerosis

ოპტიკო-მიელიტი (დევიკის სინდრომი) - Neuromyelitis optica [Devic]

შაკიკი აურას გარეშე (ჩვეულებრივი შაკიკი) - Migraine without aura [common migraine]

შაკიკი აურასთან ერთად (კლასიკური შაკიკი) - Migraine with aura [classical migraine]

ბელის დამბლა - Bell palsy

ცერებრალური დამბლა - Cerebral palsy

მწვავე მიოკარდის ინფარქტი - Acute myocardial infarction

კარდიომიოპათია - Cardiomyopathy

ინტრაცერებრული ჰემორაგია - Intracerebral haemorrhage

თავის ტვინში ემბოლიზმით გამოწვეული ინფარქტი (წინატვინის არტერიები) - Cerebral infarction due to embolism of precerebral arteries

არაკონკრეტული ოკლუზიით გამოწვეული თავის ტვინის ინფარქტი - Cerebral infarction due to unspecified occlusion or stenosis of precerebral arteries

თავის ტვინის არტერიების თრომბოზით გამოწვეული ინფარქტი - Cerebral infarction due to thrombosis of cerebral arteries

თავის ტვინის არტერიების ემბოლიზმით გამოწვეული ინფარქტი - Cerebral infarction due to embolism of cerebral arteries

ათეროსკლეროზი - Atherosclerosis

აორტის ანევრიზმა და დისექცია - Aortic aneurysm and dissection

არტერიული ემბოლია და თრომბოზი - Arterial embolism and thrombosis

ვენების ანთება და თრომბოფლებიტი - Phlebitis and thrombophlebitis

ბაქტრიული პნევმონია - Bacterial pneumonia

ემფიზემა - Emphysema

სხვა ქრონიკული ობსტრუქციული ფილტვის დაავადებები - Other chronic obstructive pulmonary disease

ფილტვის შეშუპება - Pulmonary oedema

პნევმოთორაქსი - Pneumothorax

პირის ღრუს ცისტები - Cysts of oral region

თიაქარი - Hernia

ნაღვლის ბუშტის კენჭი მწვავე ქოლეცისტიტით - Calculus of gallbladder with acute cholecystitis

ნაღვლის ბუშტის კენჭი სხვა ქოლეცისტიტით - Calculus of gallbladder with other cholecystitis

ნაღვლის ბუშტის კენჭი ქოლეცისტიტის გარეშეCalculus of gallbladder without cholecystitis

მწვავე პანკრეატიტი - Acute pancreatitis

კანის შეზღუდული ვასკულიტი - Vasculitis limited to skin

სეროპოზიტიური რევმატოიდული არტრიტი - Seropositive rheumatoid arthritis

მენისკის ცისტა - Cystic meniscus

დისკოიდური მენისკი (თანდაყოლილი) - Discoid meniscus (congenital)

მუხლში თავისუფალი სხეული - Loose body in knee

მუხლის ქრონიკული არასტაბილურობა - Chronic instability of knee

მუხლის შიდა დაზიანება - Internal derangement of knee

ოსტეოფიტი - Osteophyte

სპონდილოლიზი - Spondylolysis

ზპონდილოლისთეზი - Spondylolisthesis

კისრის დისკის დაავადება მიელოპათიით - Cervical disc disorder with myelopathy

კისრის დისკის დაავადევა რადიკულოპათიით - Cervical disc disorder with radiculopathy

რადიკულოპათია - Radiculopathy

კისრის ტკივილი - Cervicalgia

იშიასი, წელ-გავის რადიკულიტი - Sciatica

წელის ტკივილი - Low back pain

კალციფიცირებული ტენდინიტი - Calcific tendinitis

ხელის ბურსიტი - Bursitis of hand

ოსტეოპოროზი პათოლოგიური მოტეხილობით - Osteoporosis with pathological fracture

ოსტეომიელიტი - Osteomyelitis

პროსტატის ჰიპერპლაზია - Hyperplasia of prostate

შეშუპება - Oedema

შერყევა - Concussion

დიფუზური თავის ტვინის დაზიანება - Diffuse brain injury

ტრავმული სუბდურალური ჰემატომა - Traumatic subdural haemorrhage

მხრის სახსრების ამოვარდნილობა, დაჭიმულობა და გადაჭიმვა - Dislocation, sprain and strain of joints and ligaments of shoulder girdle

ბადურის ჩამოშლა (ქოროიდისა და ბადურის დარღვევები) - Retinal Detachment (Disorders of choroid and retina)

მაკულარული დეგენრაცია (ქოროიდისა და ბადურის დარღვევები) - Macular Degeneration (Disorders of choroid and retina)

კატარაქტა (ლინზის დარღვევები) - Cataracts (Disorders of lens)

რქოვანას ნაირევები და დაბინდულობა (რქოვანას დარღვევები) - Corneal scars and opacities (Disorders of cornea)

რქოვანას დარღვევები (სკლერის, რქოვანას, ირისისა და ცილიარული სხულის დარღვევები) - Corneal Disorders (Disorders of sclera, cornea, iris, and ciliary body)